

ხელშეკრულება №2/42

ქ. ზუგდიდი

„ 11 “ დეკემბერი 2017 წ.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესახებ.

წინამდებარე ხელშეკრულებით სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შემდგომ „სასწავლო უნივერსიტეტად“ წოდებული, წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, და სს „თიბისი ბანკის“ ზუგდიდის სერვის ცენტრი №1 შემდგომში „პარტნიორად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით, ვითვალისწინებთ, რა ორმხრივ ინტერესს, ვთანხმდებით ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე.

1. ხელშეკრულების საგანი:

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „სასწავლო უნივერსიტეტი“ და „პარტნიორი“ იღებენ ვალდებულებას, შესაბამისად, ერთი მხრივ, მოამზადონ ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნით გათვალისწინებული შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მეორე მხრივ, ხელი შეუწყონ სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებაში.

2. მხარეთა ვალდებულებები

- 2.1 „სასწავლო უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევასა და ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და კონკრეტულად „პარტნიორის“ მოთხოვნებს.
- 2.2 „პარტნიორი“ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით უზრუნველყოფს „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე მიღებას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. (პრაქტიკის მოცულობა-5 კრედიტი- 125 სთ. 2017 წლის 11 დეკემბრიდან 2018 წლის 9 თებერვლის ჩათვლით. 30 დღე, დღეში არანაკლებ 4 სთ., 5 სთ-პრაქტიკის ანგარიში) სტუდენტთა სია თან ერთვის.

3. დამატებითი დებულებები

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.2. ხელშეკრულება შედგენლია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

- 3.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
- 3.4 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თ. ხუფენია



თეონა ხუფენია

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14.



გიორგი შენგელია

სს „თიბისი ბანკის“ ზუგდიდის სერვის ცენტრი
№1-ის დირექტორი

მისამართი: ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. 32/30.